ჩვენ ვსწავლობთ სიკეთეს და ურთიერთდახმარებას

სიკეთის დღიურები

მხოლოდ მნიშვნელოვანი რამ:

- შეამჩნია კარგი
- სხვებისთვის სიკეთის გაზიარება
- იზრუნეთ ხალხსა და ბუნებაზე

ნიკომ ზაფხულის არდადეგების სამი თვე მთის პატარა სოფელში გაატარა. პირველად დარჩა სოფელში მარტო, მშობლების გარეშე. ზაფხულის არდადეგებიც პირველად ჰქონდა.

- აბა, შენ იცი, ნიკო, დიდი სიკეთეა ბებიას და პაპას გახარება! ვიცი, გულისხმიერი იქნები და ყველაფერში მოეხმარები მათ! - დაარიგა მამამ გამომშვიდობებისას.

თედო პაპას და ნინო ბებოს ბატკანიც ჰყავთ, ბოჩოლაც, წიწილებიც, ძაღლიც, ფისოც. პირველ დღეს ნიკომ მთელი ეზო-ყურე მოირბინა, ცხოველებს საკვები დაუყარა, წყალი დაალევინა, მაგრამ მეორე დღიდან თამაშის გარდა არაფერი გახსენებია. გვიან იღვიძებდა, მზე უკვე შემაღლებულზე იყო. მთელი დღე ტყეში, სოფელში, მდინარისპირას თამაშობდა.

-ნიკო, მოდი, ისადილე! ნიკო, მოდი მომეხმარე! ნიკო, წყაროზე გამეგზავნე! - ისმოდა მოხუცების ძახილი. ნიკოსგან კი სულ ერთი და იგივე პასუხი ესმოდათ: ჰო, ცოტა ხანში, მოვალ, ცოტა ხანშიო.

ეს „ცოტა ხანი“ დაღამებამდე გასტანდა ხოლმე. დაღლილი ბრუნდებოდა შინ ნიკო, გემრიელად ჭამდა და თვალზე რული ედებოდა. ბებოს და პაპას საუბარი უნდოდათ შვილიშვილთან, ხან ზღაპარს მოუყვებოდნენ, ხან ლეგენდას, მაგრამ ნიკოს მოსმენის თავიც აღარ ჰქონდა, მალევე იძინებდა და დილას კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

გაიფიქრებდა ზოგჯერ ნიკო, აი ხვალ მოვეხმარები პაპას, აი ზეგ მოვეხმარებიო, მაგრამ თამაშსა და სირბილში ისე გადიოდა დღეები, აღარც ახსენდებოდა, რომ მამამ მოხუცების დახმარება სთხოვა. განა საყვედურს ეუბნებოდნენ შვილიშვილს, თუმცა, ძალიან გაახარებდათ ნიკოს ყურადღება და გულისხმიერება.

ტყეშიც ბევრი იარა ნიკომ, მდინარეშიც ბევრი იბანავა, ცხენიც აჭენა, ხან ბურთს თამაშობდა და ხანაც თევზაობდა. ზაფხულის მიწურულისკენ სახლიც მოენატრა ნიკოს და სკოლაც! აწუწუნდა, შინ მინდაო! აგვისტოს ბოლოს ნიკო ქალქში წაიყვანეს მშობლებმა და სწავლაც დაიწყო.

ერთხელაც ლალიკო მასწავლებელმა კლასს უცნაური დავალება მისცა. ბავშვებს ბლოკნოტში „სიკეთის დღიურები“ უნდა ეწერათ. ჩვეულებრივი დღიურებისგან განსხვავებით, იმ სიკეთეზე უნდა მოეყოლათ, რაც მათ გარშემო ყოველდღიურად მოხდებოდა, შინ თუ გარეთ, სკოლაში თუ ქუჩაში, სხვებისგან მიღებულზე ან თავიანთ გაკეთებულ სიკეთეზე. ნაწერის გარდა, ნახატებითა და კომიქსებითაც შეეძლოთ ბავშვებს მოეთხროთ სიკეთის თავგადასავალი.

ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ, ბევრი ისაუბრეს სიკეთეზე, ყველა თავისას ჰყვებოდა. ნიკო კი ჩუმად ისმენდა სხვების საუბარს, ხმა არ ამოუღია. რატომღაც ფიქრი სულ თავის ბებო-პაპისა და სოფლისკენ გაურბოდა. ლალიკო მასწავლებელმა კი შეამჩნია, რომ ნიკო ფიქრებში იყო წასული, მაგრამ ადროვა, არ დაუძალებია საუბარში ჩართვა.

ბავშვები იცოდნენ, რომ სიკეთე სხვაზე ზრუნვა, სხვების უანგარო დახმარება, თანადგომა , თანაგრძნობაა. სიკეთეა, როცა სხვას არ ჩაგრავ, არ დასცინი, სხვისი ტკივილი გულთან მიგაქვს, ეხმარები...

მასწავლებელმა შეაქო ბავშვები ასეთი პასუხებისთვის. ზოგმა ცხოველების მოვლაზე ისაუბრა, ზოგმა სკოლის მოვლაზე და გაფრთხილებაზე.

- მასწ! სიკეთეა ავტობუსში მოხუც ადამიანს რომ ადგილს დაუთმობ, საქმის გაკეთებაში შეეშველები, ჩანთის წაღებაში, - ამბობდა ერთი თმახუჭუჭა ბიჭი.

-დედიკო ეხმარება საკვებით მეზობელ ოჯახს, სათამაშოებს და ტანსაცმელს ვაძლევთ, ვეთამაშებით. სხვა მეზობლებიც ეხმარებიან. მე საბავშვო წიგნებიც გავუნაწილე, ფერადი ფანქრებიც! - თქვა გოგონამ, რომელსაც ხელი თაბაშირში ჰქონდა.

- მამამ მითხრა, სიკეთე ჩუმად უნდა აკეთოო, ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. -თქვა სათვალეებიანმა ბიჭმა.

ნიკო უსმენდა ბავშვებს და ფიქრობდა, მე რას ვიტყვი ახლა, არც ბებოს ვეხმარებოდი, არც პაპას. რატომ ვიქცეოდი ასე ნეტა? როცა წავალ სოფელში, აუცილებლად მივეხმარები პაპას საქმეებში...

-მამაჩემმა ნერგები მოიტანა და ეზოში ხეები დავრგეთ ერთად. მამამ თქვა, რომ ხის დარგვა დიდი სიკეთეაო, - გაისმა მეორე მერხიდან.

-ჩემი ბებია ეტლში ზის. ფეხით ვერ დადის. მე ყოველთვის ვეხმარები და ზღაპარს ან თავისი ბავშვობის ამბებს როცა მიყვება, ვუსმენ, ვეხუტები და მეუბნება, კეთილი ხარო. მაღაზიაშიც ვეგზავნები მასწ!- თქვა ჭორფლიანმა ბიჭმა.

მე კი მოსმენა მეზარებოდა როცა პაპა ძველ ზღაპრებს მიყვებოდა, - შერცხვა ნიკოს.

-ბავშვებო, როგორ გამახარეთ. მჯერა და გენდობით, რომ ამ დღიურებში ძალიან საინტერესო ამბებზე დაწერთ და დახატავთ. ყველაფერს დააკვირდით ირგვლივ. ოღონდ გახსოვდეთ: სიკეთეს მხოლოდ ადამიანები არ ჩადიან. მთელი სამყარო, ბუნება, ტყე, წყალი, სუფთა ჰაერი, ადამიანი, თავად დედამიწა, ყველა ერთადაა სიკეთის ჯაჭვში ჩაბმული! რომ მეცადინეობთ და დავალებებს ასრულებთ - ესეც სიკეთეა, რადგან ცოდნაა უდიდესი სიკეთე. ბევრნაირი სახე აქვს სიკეთეს და ზოგჯერ სულაც შეუმჩნეველია. მთავარია, ჩვენ თავად ვიყოთ კეთილი ადამიანები, ჩვენ გავცეთ სიკეთე, ხომ? ადამიანი შეიძლება კეთილი სიტყვითაც გაახარო და ანუგეშო. ნუგეში, იმედიანი სიტყვა, კეთილი ფიქრიც ადამიანისგან გაღებული სიკეთეა!

-ლალიკომას, მე რომ ფეხი მომტყდა ზამთარში და შინ ვიყავი, ჩემი მეგობრები სულ მოდიოდნენ, მართობდნენ, მეთამაშებოდნენ და გაკვეთილების სწავლაშიც მეხმარებოდნენ!- თქვა გოგონამ უკანა მერხიდან.

-მე მშობლები მამხნევებენ, ნიჭიერი ხარო და როცა ამას მეტყვიან უფრო იოლად ვმეცადინეობ, - გაიღიმა პირველ მერხზე მჯადრმა გოგონამ, - ვიოლინოსაც იოლად ვუკრავ. მუსიკაც დიდი სიკეთეა, მასწ!

-დიახ, ხელოვნება დიდი სიკეთეა. შენს სავიოლინო ნომერსაც მოვისმენთ კლასის დღესასწაულზე, - გოგონას გაუხარდა და გაიღიმა, აუცილებლად შევასრულებო.

-ბავშვებო, საახალწლოდ გამოფენაც მოვაწყოთ თქვენი ნახატებით და „სიკეთის დღეც“ მშობლებთან ერთად ავღნიშნოთ. წელს კლასში საახალწლო ნაძვისხე სათამაშოებით კი არ მოვრთოთ, კეთილი ადამიანები და სხვა კეთილი არსებებიც, რომლებსაც თქვენ ამ დღიურებისთვის დახატავთ, გამოვჭრათ, ჩვენივე ხელით ნაძვის ხის მოსართავად ვაქციოთ და „სიკეთის ნაძვის ხე“ დავდგათ, გინდათ?

-რა კარგია, ასეთი ნაძვის ხე არასდროს გვქონია! -ისმოდა აქეთ-იქიდან.

- თქვენი გაკეთებული სიკეთე თქვენვე გჩუქნით სიხარულს. მაგრამ სიზარმაცე და გულგრილობა ძალიან გამძიმებთ. მინდა, ამას დაუკვირდეთ, ბავშვებო და იქნებ ესეც დაგეხმაროთ სიკეთის კეთებაში, - ლალიკო მასწავლებელმა ბავშვებს გადახედა.

-მასწ! - ყველაზე ბოლოს აიწია ნიკამ ხელი, - წელს მე მთაში ბებო-პაპასთან ვიყავი. იმ სოფელში სულ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, რა იქნება რომ მთელი კლასი ერთად წავიდეთ ჩვენს სოფელში? მოხუცებს ძალიან გავახარებთ, საქმეშიც დავეხმარებით, საჩუქრებსაც ჩავუტანთ. მე მივხვდი, რა გაახარებთ მათ!

-შესანიშნავი იდეაა, ნიკო, - თქვა მასწავლებელმა, - შენ ეხმარებოდი ალბათ მოხუცებს, მოგვიყევი, რას აკეთებდი სოფელში?

ნიკა გაჩუმდა, ხელით წიგნის წვალება დაიწყო... მასწავლებელი ისევ კლასს მიუბრუნდა:

- წავიდეთ ბავშვებო? ყველაფერში მივეხმარებით მოხუცებს, გავახარებთ, დავუმეგობრდებით! ნიკაც თქვენთან ერთად უფრო ხალისიანად მიეხმარება ბებო-პაპას. - ლაპარაკობდა ლალიკო მასწავლებელი.

- მასწ, მანანას დედა ექიმია, -თქვა მევიოლინე გოგონამ, -ზურას მამა მშენებელი, მამაჩემი თვალის ექიმია, ანდროს დედა წიგნების გამომცემელი, საჩუქრებს შვუგროვებთ, ვისაც რა შეეძლება, მშობლებიც წავიყვანოთ, - თქვა გოგონამ თაბაშირიანი ხელით.

ნიკას თვალებში სიხარული ჩაუდგა. ახლა მან ზუსტად იცოდა, რას გააკეთებდა სოფელში.

-მასწ, ვიოლინოსაც წამოვიღებ და მათთვის დავუკრავ. ზაფხულშიც ავიდეთ მერე. იქნებ სკოლის პატარა ბანაკი გავაკეთოთ და მთელი ზაფხულიც დავრჩეთ?

-მასწ, თბილი ტანსაცმელი შევუგროვოთ მოხუცებს ზამთრისთვის, კარგი იქნებოდა.- თქვა მეორე გოგონამ.

ლალიკო მასწავლებელი შეპირდა ბავშვებს, უახლოეს დღეებში მშობლებს მოვიწვევ და ერთად გადავწყვიტოთ, რისი გაკეთებას შევძლებთ მოხუცებსთვისო.

ქველმოქმედება

ზარის ხმაც გაისმა. გაკვეთილები დასრულდა, ბავშვები ჟრიამულით გამოეფინენ გარეთ. ხუჭუჭა ბიჭმა ბუფეტში ნაყიდი ნამცხვარი ქუჩის ძაღლს დაუდო, მევიოლინე გოგონამ კნაჭა გოგონას ჩანთაც აიკიდა, რადგან კნაჭას ცალი ხელი თაბაშირში ჰქონდა. ერთმა ბიჭმა ქუჩაში ბეღურებთან ჩასაფრებული კატა დააფრთხო და გზა გააგრძელა. უკანა მერხზე რომ გოგონა იჯდა, მან ორ პირველკლასელს ჩაჰკიდა ხელი შუქნიშანთან და ფრთხილად გადაიყვანა ქუჩის მეორე მხარეს.

სულ რამდენიმე დღეში მოაგვარეს მასწავლებელმა, ბავშვებმა და მშობლებმა საქმე. ზოგმა თბილი სამოსის შეგროვება ითავა, ზოგმა ტკბილეულის, ზოგმა წამლების. ზოგმა ჟურნალებისა და წიგნების, ზოგმა საკითხავი სათვალეების, ნამდვილი საქველმოქმედო აქცია წამოიწყეს.

მოხუცები თვალებს არ უჯერებდნენ, როცა შემოდგომის ერთ დღეს, მოულოდნელად, ნიკო და მთელი მისი კლასი დაადგათ თავზე.

მეგობრებთან ერთად მეტი ხალისით აკეთებდა საქმეს, შეუმჩნეველიც არ დარჩენია, რა იყო გასაკეთებელი: ზოგს წყალი ამოუტანეს წყაროდან, ზოგს შეშა დააწყობინეს, ზოგს საქონელი გაურეკეს საძოვარზე... ეს ცეროდენა ნიკო დიდი ბიჭივით ბზრიალებდა. ასევე იქცეოდნენ ნიკოს კლასელებიც. მშობლებიც გაოცებულები უყურებდნენ ნიკოს, ბებო-პაპაც, - ასეთი ყოჩაღი თუ იყო ჩვენი ბიჭი, არც ვიცოდითო!

-კეთილი ბიჭი გვეზრდება ჩვენი ნიკო და მეგობრებიც რა გულისხმიერი ბავშვები ჰქოლიაო. - თქვა თედო პაპამ,- სიკეთე დიდი ძალაა და გადამდებიცო!

-რა გასაკვირია ამ ბავშვების სიკეთე, როცა მშობლებიც ასეთი კეთილი ადამიანები ჰყოლიათო, -ამბობდა ნინო ბებო და მადლიერებას გამოხატავდა თავის მოხუც მეზობლებთან ერთად. ყველაზე მეტად ბებიას ნიკოს ეს სასიკეთო ცვლილება ახარებდა.

ალბათ, ადვილი მისახვედრია, რას დახატავდნენ ბავშვები „სიკეთის დღიურებში“. ასეთი ბედნიერი არასდროს ყოფილა ნიკო. რაღაც უხაროდა, რა თავადაც ვერ ხვდებოდა.

ბოჩოლა, ბეკეკეა, წიწილები - ყველა გაზრდილიყო, ტყეები გაყვითლებულიყო, ჰაერში სუსხი იგრძნობოდა. მხოლოდ ბებო-პაპას ედგათ თვალებში ჩვეული სითბო და ალერსიანი მზერა. უხაროდათ ნიკოსი და მისი მეგობრების მოულოდნელი სტუმრობა. ბავშვებმა მთელი სოფელი ერთად დაიარეს, ყველამეზობელი მოინახულა ნიკომ, ყველა გაახარა, კლასელები და მათი მშობლები გააცნო.